N 53 14/04/2020

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი 4

დ. ჩოხატაური **6 აპრილი 2020 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ქეთევან სიხარულიძე, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, მაია კუტუბიძე,

არ ესწრებოდა: ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, გიორგი რამიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი, ირაკლი ახობაძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თეა უჯმაჯურიძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე .

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების

განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიზემ, აკაკი ყაჭეიშვილმა, ბექა გამდლიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

I საკითხი:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე .

მოისმინეს:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ზაალ მამალაძე:** - ფაქტიურად თებერვლის თვიდან შეწყვეტილია აიპების პროგრამული ღონისძიებები. ამის გამო ბიუჯეტში ხარჯვითი ნაწილი შემცირებულია. მაგალითად მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტული ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, ვეღარ ატარებს სპორტულ ღონისძიებებს და ვერც სხვა მუნიციპალიტეტებში აგზავნის სპორტულ ღონისძიებებზე ჩვენს ბავშვებს. ამის გამო გავცემთ მხოლოდ ხელფასებს. რაც შეეხება ხარჯის თანხებს ის ჩვენი ბიუჯეტის რეზერვია. გთხოვთ, დაიანგარიშოთ ყველა აიპების რეზერვები და საკრებულოს გავაცნოთ, ალბათ დაგვჭირდება 6 თვის ანგარიშის მიხედვით ბიუჯეტში ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე .

II საკითხი:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ვლადიმერ სიხარულიძემ,** რომელმაც „ბავშვთა უფლებების“ განყოფილების შექმნასთან დაკავშირებით დასვა კითხვა: ხომ არ აჯობებდა ეს განყოფილება შეგვექმნა „განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის სამსახურის

სტრუქტურაში. რადგან წინ გვაქვს ბაღების ავტორიზაციის პროცესი. ეს საკითხები ერთი სამსახურის ქოლგის ქვეშ გაერთიანდებოდა.

თეა უჯმაჯურიძე: - ჩვენც ვიმსჯელეთ აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით და რადგანაც „ბავშვთა უფლებების“ განყოფილებამ უნდა იმუშაოს სოციალური დაცვის მიმართულებითაც ვამჯობინეთ განყოფილება შეგვექმნა სოციალურ სამსახურში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა